

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ მაისი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,
სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონებების საწყისი
წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, თანახმად დანართისა.
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტების სარგებლობაში განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,
სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების
საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონებების (მიწის ნაკვეთები) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N19/1421060606-14, 01.03.2021წ); მომართა როინ ძირკვაძემ (პ/ნ 61004013768), რომლითაც იგი ითხოვს ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №13-ის მიმდებარედ არსებული 95.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.25.11.407) იჯარით სარგებლობაში გადაცემას. განმარტავს, რომ ეწევა სამშენებლო ხის მასალების ექსპორტს და საქართველოს მასშტაბით რეალიზაციას. იჯარით მიღებულ ნაკვეთზე განათავსებს მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობას ხის მასალის ნიმუშების სახეობების საჩვენებლად.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე განცხადებით (N19/1421040107-03, 09.02.2021 წ); მომართა ირაკლი ხმაღამემ (პ/ნ 61001069102), რომლითაც იგი ითხოვს ქ. ბათუმში, სავაჭრო ცენტრი „ბონი“-ს მიმდებარედ არსებული 100.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.29.08.029) განკარგვას. განმარტავს, რომ ნაკვეთი ამჟამად არის უფუნქციოდ, ხოლო განკარგვის შემთხვევაში მოახდენს ნაკვეთის ათვისებას და ადამიანების დასაქმებას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე განცხადებით (N10/1421069498-14, 10.03.2021 წ; მომართა შპს „ჯი ენ ელ“-მა (ს/ნ 404507173), რომლითაც იგი ითხოვს ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქ. #3ა-ს მიმდებარედ არსებული 10.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.35.24.694) 5.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობაში განკარგვას. განმარტავს, რომ ლატარიის ბილეთების რეალიზაციის მიზნით განათავსებს ბრენდულ ჯიხურს.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონებების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონებების სარგებლობის საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის _____ მაისის № _____ განკარგულებით

**სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით განსაკარგი ქონების
საწყისი წლიური სარგებლობის საფასური**

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		აუქციონის საწყისი წლიური სარგებლობის საფასური (ლარი)
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)	
1	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. #13-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.25.11.407	95.00		2 500
2	ქ. ბათუმი, სავაჭრო ცენტრი „ბონი“- ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.08.029	100		3 500
3	ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. #3ა-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.24.694	10		240